ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებ(ებ)ის (დამატებ(ებ)ის) შეტანას:

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების 12.3.11 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

“12.3.11 კლიენტის მიერ ბარათით ATM, POS, E-Commerce_ით და ბანკში ტერმინალით ოპერაციის შესრულებისთანავე ბანკი ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსი. GEL/USD/EUR/GBP-სგან განსხვავებულ ვალუტაში ქსელის გარეთ შესრულებული ოპერაციებისათვის დამატებით გამოიყენება ,,ვიზას'' (VISA) ან ,,მასთერქარდის'' (MasterCard) მიერ დაწესებული კურსი (რომელიც ამავდროულად შესაძლოა მოიცავდეს ბანკის დამატებით საკომისიოს), და წესი. დეტალური აღწერა და მაგალითები იხ. შემდეგ ვებგვერდზე http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/cardconversions. VISA/MasterCard ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კლიენტის ანგარიშზე. კლიენტის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის სხვადასხვა დისტანციური არხების მეშვეობით.”